აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

01-04 | 62

20.09.2018

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს არჩევნების დანიშვნის შესახებ

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდებისა და სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსის შესაბამისად ვბრძანებ:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე ჩატარდეს აკადემიური საბჭოს წევრების არჩევნები:
   - 1.1 ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 2 ადგილი
   - 1.2 ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 2 ადგილი
   - 1.3 პედაგოგიურ ფაკულტეტზე - 2 ადგილი
   - 1.4 ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე -2 ადგილი
   - 1.5 მედიცინის ფაკულტეტზე -2 ადგილი
   - 1.6 საინჟინრო - ტექნიკურ ფაკულტეტზე - 2 ადგილი
   - 1.7 საინჟინრო - ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე - 2 ადგილი
   - 1.8 აგრარულ ფაკულტეტზე - 2 ადგილი
   - 1.9 საზღვაო - სატრანსპორტო ფაკულტეტზე - 2 ადგილი

2. არჩევნები ჩატარდეს 2018 წლის 24 ოქტომბერს 12 საათიდან 16 საათამდე.

3. კანდიდატების რეგისტრაცია მოხდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში 2018 წლის 8 ოქტომბრიდან 17 ოქტომბრის ჩათვლით 12 საათიდან 16 საათამდე; მისამართი თამარ მეფის ქუჩა №59, I კორპუსი, აუდიტორია №1138.

4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება.

5. არჩევებში მონაწილეობის მსურველებმა, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ)ცნობა უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურიდან უნივერსიტეტში დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.
გ) განცხადება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე არჩევნებში მონაწილეობის სურვილის შესახებ.

6. ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ გვერდზე.

7. ბრძანების გამოკვრა თვალსაჩინო ადგილას (მათ შორის ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე) დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნი კომისიას და ფაკულტეტების დეკანებს.

8. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ- გვერდზე განთავსება დაევალოს მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურს.

9. კონკურსანტების მიერ პრეტენზიების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით 16 საათამდე.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აწსუ რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

აწსუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე : მინდია ბერიკაშვილი